საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

№ 140 სამშაბათი, იანვრის 9 (22) 1918 წ. № 140

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

მოკავშირეები ხავის აუცილებელ პირობად სთვლიან ოსმალეთში დაპყრობილი ადგილების ავტონომიას.—ქუთ. ცენტრმა უარყო ოსმალეთის წინადადება სეპარატიული ზავის შეკვრის შესახებ.—დამფუძნებელი კრება 5 იანვარს გაიხსნა: თავმჯდომარედ ჩერნოვი აირჩიეს.—ბოლშევიკებმა ულტიმატუმი წარუდგინეს: ჩვენი დეკრეტები დააკანონეთ და ჩვენი პროგრამა მიიღეთო.—ქუჩებში გაიმართა მანიფესტაციები დამფ. კრების გახსნის გამო: წითელ რაზმელებმა სროლა აუტეხეს მანიფესტანტებს.—ბოლშევიკებმა გარეკეს დამ. კრება.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან - 50 კ. ფასი სამგლოვიაროთ განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადუქდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

# მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

## ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: *Тифлисъ, ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილით არის ღია.

**ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შევსებულ განცხადების მიხედვით.**

ხუთშაბათს ამა წლის 11 იანვარს სოფელ ასანურში (სიღნაღის მაზრა) გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მღვდლის

## მ. იაკობ ილიას ძე ჯავაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მისი ასული ივლიტა, ნინო ილიას ასული და ძმა დავით ილიას ძე ოჯახითურთ ჯავაშვილები. 32

გიორგი და ირაკლი ნიკოლოზის ძენი ვეზირიშვილები მეუღლეებითურთ და ძმისწულებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საღამოს 6 საათზედ 5 იანვარს მშვიდად გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში მყოფი ძვირფასი და დაუვიწყარი დედა პირველებისა და დიდი დედა უკანასკნელებისა კნეინა

## ნინა შანშეს ასული ვეზირიშვილისა

დაკრძალვა განსვენებულის ნეშტისა მოხდება სოფ. ოსიაურში საგვარეულო საფლაოზე 1918 წ. 9 იანვარს სამშაბათს ნაშუადღევს. პანაშვიდი ყოველ დღე. 35

ტფილისის გუბერნიის საერობო აგრონომიული ორგანიზაცია ამით აუწყებს ძვირფას თანამშრომლის და ამხანაგის

## ვანო დალაქიშვილი

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 9 იანვარს 10 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გორის კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს გარდაცვალებას ამხანაგის

## ვანო ვასილის ძე დალაქიშვილისას

გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე, საკუთარი ბინიდგან ბაგრატიონის ქ. № 9. 37

ოლღა სპირიდონის ასული მაჭავარიანისა, სოლომონ და დავით ილიას ძე მაჭავარიანები, ნინა, ელენე, თამარი და ქეთევან მაჭავარიანის ასული, ნიკო დავითის ძე მამულაიშვილი, ანა მაჭავარიანის ასული ანანიაშვილისა, ნიკო ზაქარიას ძე მაჭავარიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგებს რომ ქალაქ შერიფხანეში პირველ იანვარს ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეთა და მესამეთა ძმა მეოთხესი ცოლის ძმა და მეხუთესი და მეექვსესი ძმისწული

## ზაქარია ელის ძე მაჭავარიანი

რომელიც ჩამოსვენებულ იქმნა ტფილისში საკუთარ ბინაზე (მოსკოვის ქ. № 7) 7 იანვარს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 37

ღრმად დამწუხარებულნი ძმა გიორგი ვასილის ძე და რძალი ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილები, დიდედა ელისაბედ მეტრეველი, ბიძა იაკობ დალაქიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროვოთ გარდაიცვალა ქ. სოხუმიდან გზით მომავალი ძვირფასი

## ივანე ვასილის ძე დალაქიშვილი

გამოსვენება დღეს 9 იანვარს დილის 10 საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. 31

ოთხშაბათს, 10 იანვარს ძვირფასი და დაუვიწყარი დედის, დეკანოზის ქვრივის,

## სოფიო კონსტანტინეს ასული ხელიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა მამადავითის ეკლესიაში, და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, იმავე ეკლესიის გალავანში რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქალიშვილები, შვილის-შვილები და შვილის-შვილის-შვილები, წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 40

ამიერკავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ბანკის ბინაზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელ. № 5—26).

14 იანვარს 1918 წ. დღის 12 საათზე

## დანიშნულია მეორეთ აქციონერთა არაჩვეულებრივი კრება

შემდეგი **საკითხების** გასარჩევად: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) განყოფილებების გახსნა.

**შენიშვნა:** ეს კრება, როგორც მეორედ მოწვეული, წესდებისა § 67 თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც უნდა დაესწროს. იმავე შენობაში და იმავე რიცხვს დღის ორს საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა პირველი არაჩვეულებრივი კრება, სარევიზიო კომისიის ორი წევრის ასარჩევად.

**შენიშვნა:** სახელდებულ აქციათა პატრონთ კრებაზე ხმის უფლება ექნებათ, თუ ისინი აღნიშნული იქნებიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე. 2251

## ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პარასკევს 12 იანვარს ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე ს. ჩ. იე „ძმურ ნუგეშ"-ში დანიშნულია ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების

## საგანგებო კრება

საგანი კრებისა: სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობა. 1015



## დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 9 იანვარს, გაიმართება

## გრანდიოზულ წარმოდგენა

**„სპორტის საღამო"**, მთელი დასის მონაწილეობით. გასტროლები სერბელი ქალის, ცნობილი მსროლელის ვოიანის. გასტროლები ცნობილი აკრობატებისა **კამოხი** და მოჯირითე ქუქეის ვლადიმიროვის. კომიკოს-იუმორისტების ძმ. იონაშის გასტროლების გაგრძელება, და სხვა არტისტების. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ქელინი და სმირნოვი, 2. სარტი ხედერ-ალი და აბერგი, 3. სტანისლავ ზბიშკო ციგანევიჩი და ბეკ-ალსენ სპევაჩეკი, 4. ერმაკოვი და ხერმეკ-ჩოლანდი, 5. ვანო მეღელაური და დევგძირი დობრინია. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

**ანონსი:** ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. მოდიან ახალი არტისტები. 33

# ᲒᲐᲥᲝᲡ ᲫᲐᲚ. ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ

## განყოფილება

ამით აუწყებს კერძო პირებს და დაწესებულებათ, რომ 1917 წლის 6 სექტემბერს ბაქოს სასურსათო გამგეობის მიერ გაცემული მოწმობა № 2279 **სარატურ იახშიბეკოვის** სახელზე ტფილისში და გორის მაზრაში გაგზავნის შესახებ მწვანილების საყიდლად ბაქოს საჭიროებისათვის, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან იახშიბეკოვი უკან გამოწვეულია. 36

## დაბა ხაშური

შაბათს, 13 იანვარს, ხაშურის რკ. გზ. კლუბში გაიმართება საღამო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ.

1. წარმოდგენილი იქნება დრამა **ტრაღედია მონაფისა**

2. პოეტები ს. ფაშალიშვილი და ი. მჭედლიშვილი წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.

3. იმღერებს მომღერალი **მ. ძიმისტარაშვილი.**

იქნება ბუფეტი, ფოსტა, ლოტორეა, დაუკრავს ორკესტრი. დასასრულ გაიმართება ცეკვა. 1014

1918 წლის პირველ იანვრიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ

## „პრომეთე"-ზე

ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი სამი თვით ღირება 9 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მან.

**ჟურნალის უახლოეს თანამშრომლებად მოწვეული არიან:**

**აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსახურდია. გამომცემელი: ისიდორე სტურუა.**

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„სახალხო საქმის" კონტორაში **ნინო ნეიმანთან;** „სახალხო საქმის" სტამბაში დ. მგალობლიშვილთან; ქუთაისში „ხალხის მეგობრის" რედაქციაში გიგლა მეზურნიშვილთან და ... ბაბილინა ხაინდრავასთან; ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან; გორში **სიმონ მაჭავარიანთან;** თელავში **სიმონ წერეთელთან.**

ჟურნალის დასაკვეთი ფული და აგრეთვე მასალა ჟურნალისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, **„პრომეთეს" რედაქციას.**

## დამეკარგა

**ქატის შავი რბილი ქუდი,** სახაზინო თეატრში, ქართული წარმოდგენის დროს, მესამე იარუსში. მპოვნელს ვსთხოვ მოიტანოს თეატრის კასაში და შესაფერს ჯილდოს მიიღებს. 33

## ტფილისი, 9 იანვარი 1918 წ.

**დამფუძნებელი კრების მოწვევა.**

ჩვენი წინასწარმეტყველება უკვე გამართლდა: ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს. ტფილისში მოსულ ცნობებით, როდესაც დამფუძნებელი კრება შეკრებილა—ბოლშევიკებს მის თავმჯდომარედ დაუსახელებიათ მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერი ცნობილი სპირიდონოვის ქალი. უმრავლესობას აურჩევია ჩერნოვი, რასაც გამოუწვევია ბოლშევიკების განდგომა. მომხდარა შეტაკება ბოლშევიკების ერთის მხრით და დამფუძნებელ კრების მომხრე მუშებს შორის. მოკლულ-დახოცილნი მრავალია. ლენინმა გამოსცა დეკრეტი დამფუძნებელ კრების დათხოვნის შესახებ. ეტყობა ამას მოჰყვება ბოლშევიკების კონვენტის დაარსება.

ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი წერილები, სადაც აღვნიშნავდით, რომ ახლანდელ დამფუძნებელ კრებას ეს დღე მოელოდა. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ დამფუძნებელმა კრებამ, როგორც საერთო, სარუსეთო მოვლენამ—დაჰკარგა მნიშვნელობა და მისი შეკრება შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ მთლიანი რუსეთი აღსდგა, ან ფედერატიულმა ერთეულებმა მოიწვიეს თავიანთ წარმომადგენელთა კრება რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის დასამკვიდრებლად. ორივე შემთხვევა ძლიერ შორია, რადგან მთლიანი რუსეთის აღდგენა ძველ ჩარჩოებში შეუძლებელია, ან ყოველ შემთხვევაში ძალიან ძნელია. ხოლო ფედერაციის პირობებისთვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სხვა და სხვა ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეული, რაიც ჯერ-ჯერობით სავსებით და ყველგან არ მომხდარა და მოითხოვს დროს. რღვევის პროცესი, დაწყებული ცენტრიდან—ჯერ სავსებით არ დამთავრებულა. ამნაირ პირობებში მოწვეულ დამფუძნებელ კრებას, გასაკვირველი არ იქნება, არავინ გამოესარჩლოს და ბოლშევიკებმა მოახერხონ მისი ისე ადვილად გარეკვა, რანაირადაც მოსული ცნობები გვამცნობს.

რანაირი უნდა იყოს ჩვენი გეზი? უეჭველია ყველაფერი ზემოხსენებული გააძლიერებს და გაალრმავებს იმ სამოქალაქო ომს, რუსეთში რომ დაიწყო. ეს კი მომასწავებელია რევოლიუციის კრიზისის, დაღუპვისა. ბოლშევიკების კონვენტი, ძალაზე დამყარებული პირველ ხანებში ძლიერი იქნება, მაგრამ არა გვგონია ბევრად აღემატოს იმას, რაც ეხლა უკვე ხელთ უპყრიათ ბოლშევიკებს. კონვენტის საშუალებით, თუ იგი დაარსდა, ბოლშევიკები ვერ მოიპოვებენ მეტს გავლენას და ავტორიტეტს, რადგან დიდი უმრავლესობა ისინივე იქნებიან. ამიტომ ბოლოს ისინი დამარცხებულნი გამოვლენ და ეს იქნება რევოლიუციის დამარცხება ველიკორუსიაში. ჩვენი ვალია ეს დამარცხება არ ჰხვდეს რევოლიუციის პერიფერიებში, ცალკე ერებში, სადაც ჯერ-ჯერობით ისეთი საშიში პერსპექტივები არ გადაგვშლია, რანაირიც ცენტრს გადაეშალა. ამიტომ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ და რაც შეიძლება მალე გავამაგროთ ერები, კერძოდ საქართველო ეროვნულ-პოლიტიკურ ავტონომიის მოპოებით. საქართველოს დამფუძნებელი კრება, აი, რა უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი. საქართველოს ავტონომია და ... ფედერატიული კავშირი და სოლიდარობა გარშემორტყმულ ერებთან. ამნაირის გზით ჩვენ შევსძლებთ რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნებას, საკუთარ ფიზიკურ არსებობის დაცვას და მომავალში ისეთი როლის თამაშს, რაიც შეეფერება ჩვენს ეროვნულსა და რევოლიუციონურს მისწრაფებას.

# ზავი ოსმალეთთან

ზავის ჩამოგდების საქმე რუსეთისთვის ტრაგედიად გადაიქცა. ტრაგედიაა იმიტომ, რომ თავისთავად მშვენიერს ლოზუნგს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავისას ზურგს ვერ უმაგრებს ძლიერი სარევოლუციო არმია. მეომარ სახელმწიფოთა შორის ძალთა განწყობილება დარღვეულია. ერთის მხრით სდგას იმპერიალისტური მიზნებით გატაცებული, მაგრამ გამარჯვებული გერმანია, მეორეს მხრით კი სარევოლუციო ლოზუნგებით შეიარაღებული, მაგრამ უიარაღო რუსის არმია. აი ამ პირობებში ცდილობს რუსეთის ხელმძღვანელი მთავრობა ზავის ჩამოგდებას. ცხადია ძალთა განწყობილება ისეთია, რომ რუსეთი საპატიო ზავის ჩამოგდებაზე ვერ იოცნებებს. ცოტა სხვანაირია ძალთა განწყობილება ამიერ-კავკასიაში. აქ კავკასიის ჯარი გამარჯვებული იყო, ოსმალეთის ჯარი კი დამარცხებული. რუსის ჯარი რომ ფრონტიდან არ დაძრულიყო თავისი ნებით, ამიერ კავკასიას საშუალება ექნებოდა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დროს გამარჯვებულ ჯარს დაპყრდნობოდა და რევოლუციის წიაღში შობილი ლოზუნგი უკონტრიბუციო და უანექსიო ზავისა განეხორციელებინა.

მაგრამ რუსის ჯარი ფრონტიდან დაიძრა და თავისი სურვილით, ზავის ჩამოგდებამდე, უპატრონოდ დასტოვა ამიერ-კავკასია. ამ გარემოებამ ამიერკავკასიის ერთა წინაშე დააყენა აუცილებლობა ტერიტორიის დაცვისა საკუთარის ძალ-ღონით. რუსის ჯარი თავს ანებებს ამიერკავკასიას, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენც ხელი ავიღოთ საკუთარი ტერიტორიის დაცვაზე. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მოვუაროთ და შეუძლებელი გავხადოთ რაიმე აგრესიული ნაბიჯის გადადგმა ოსმალეთის მხრით. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაწვრთნილი და თავდაცვის სურვილით გატაცებული ჯარი გვეყოლება. ასეთი ჯარი, კომისარიატის დადგენილებათა და ეროვნულ საბჭოთა თანხმობით სდგება. ასეთია კონკრეტიული პირობები იმ დროს, როდესაც ოსმალეთმა წინადადება მისცა ამიერკავკასიის კომისარიატს, სეპარატიული ზავი შეეკრათო.

სრულიად დამოუკიდებლად იმისა, თუ რანაირი იქნება საზავო პირობები ოსმალეთისა, საჭიროა გადავწყვიტოთ პრინციპიალური საკითხი, საჭიროა თუ არა ამიერკავკასიის მთავრობამ დამოუკიდებლად და წყოს მოლაპარაკება ოსმალეთთან და აქ, ჩვენში მაინც ჩამოაგდოს მშვიდობიანობა. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთის საზავო პირობები მისაღები იქნება, ჩვენ საშუალება მოგვეცემა მშვიდობიან ცხოვრების პირობებში გადავიდეთ, და ჯარი დავითხოვოთ და შევუდგეთ საამშენებლო მუშაობას. მაშინ დიდი ხნის სურვილი ომით მოქანცული ხალხისა განხორციელდება და ხალხი თავის მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდება. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება. თუ ჩვენ მოვახერხეთ და მშვიდობიანობა ჩამოვაგდეთ ოსმალეთთან მაშინ, როდესაც თვით რუსეთი ომს განაგრძობს, ეს იქნება ამიერკავკასიის ჩამოშორება რუსეთიდან. თუ ამიერკავკასიამ მოახერხა და საპატიო ზავი ჩამოაგდო ოსმალეთთან მაშინ, როდესაც რუსეთი განაგრძობს ომს ან ვერ ახერხებს მშვიდობიანობის ჩამოგდებას, მაშინ ამიერკავკასია მებრძოლ სახელმწიფოთა შორის დაიჭერს ნეიტრალურ პოზიციას და იძულებულიც გახდება იარაღით დაიცვას თავისი ნეიტრალიტეტი, ე. ი. ომი გაათავოს და ეომოს იმას, ვინც აიძულებს ომში ჩაერიოს ან მის ტერიტორიასა და თავისუფლებას შეეხოს. სხვანაირად რომა ვსთქვათ, ამიერკავკასია იძულებული გახდება შეიარაღებული ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს. ასეთი შედეგი მოჰყვება ლოღიკურად ოსმალეთთან ზავის ჩამოგდებას. ჩვენ ჯერ-ჯერობით არავითარ გადაწყვეტილ პასუხს არ ვიძლევით იმის შესახებ, **საჭიროა თუ არა** ასეთი ზავის ჩამოგდება, ჩვენ გვინდა მხოლოდ ხალხის ფართო მასაში ნათელი და გარკვეული აზრი დაიბადოს შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ხალხის ფართო მასამ უნდა იცოდეს, რომ ოსმალეთის წინადადების წყალობით ორნაირი შეძლებლობაა გადაშლილი ჩვენ წინ: ან სეპარატიული **ზავი ოსმალეთთან, ჩამოგდება მშვიდობიანობისა ჩვენს ფრონტზე და ამასთანავე ერთად გამოცხადება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა, რომელიც თავის დამოუკიდებლობას და საზავო პირობებს იარაღით დაიცავს**, ან უარყოფა ოსმალეთთან მოლაპარაკებისა, უარყოფა მშვიდობიანობის დამყარებისა და ომის გაგრძელება იმ დრომდე, სანამ რუსეთი თითონ არ გაათავებს ომს.

ამ საკითხის დასმის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ რუსის ჯარი თავს ანებებს ამიერკავკასიას, მთელს იარაღს ან ფრონტზე სტოვებს, ან რუსეთში გააქვს და ამიტომ ადგილობრივ, თუ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდა, ომი ოსმალეთთან მხოლოდ ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით უნდა ვაწარმოოთ.

აი ასეთი პირობებია დღეს შექმნილი. როგორც ზევითაც ვსთქვით, ჩვენ ჯერ-ჯერობით გადაჭრილს პასუხს არ ვიძლევით ამ საკითხის შესახებ. საჭიროა საზავო მოლაპარაკების გამართვამდე ყოველის მხრით აწონილ-დაწონილი იყოს ეს საკითხი, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ყოფნა არ ყოფნა ჩვენი ქვეყნისა, ომის გათავება და რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებათა შენარჩუნება.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

# საქართველოს სოც.-ფედ. მეორე თავისუფალი კონფერენცია

12 საათზე.

შაბათს, 6 იანვარს ქართული კლუბის შენობაში გაიმართა საქ. სოც.-ფედერალ. სარ. პარტიის მეორე თავისუფალი კონფერენცია. კრებას დაესწრო 140 დელეგატი და მრავალი წევრი სტუმარი. კონფერენცია გახსნა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გიორგი ლასხიშვილმა, რომელიც მიესალმა ამხანაგებს. აღნიშნა მოკლედ მაისის კონფერენციის შემდეგ მომხდარი ამბები, მოიხსენია ჩვენი პარტიის გარდაცვალებული ამხანაგები—პარტიის ხელმძღვანელები გ. ზდანოვიჩი და კ. აბაშიძე და დაუღალავი პრაქტიკული მუშაკნი პ. ყიფიანი და ვ. თუმანიშვილი და სთხოვა წევრებს ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მათი ხსოვნისათვის.

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ დაამტკიცა კონფერენციის რეგლამენტი და განსახილველ საგნების რიგი და მოხდა არჩევნები პრეზიდიუმისა. არჩეული იქმნენ თავმჯდომარედ გ. ლასხიშვილი, ამხანაგებად გრ. გველესიანი, ერ. ტოროტაძე, შ. ნუცუბიძე. ალ. წერეთელი და ბ. ქელბაქიანი, მდივნებად ელ. წერეთლისა, კ. გამსახურდია, ა. ჭუმბაძე და მ. საყვარელიძე. კრება მხურვალე ტაშით შეხვდა არჩევნებს. შემდეგ მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ს. ფირცხალავამ.

გასული წლის მაისში გაიმართა ჩვენი პარტიის პირველი თავისუფალი კონფერენცია (ასე დაიწყო მომხსენებელმა: ეს იყო პირველი დემონსტრაცია ჩვენი პარტიული ძალებისა) გადასინჯვა ჩვენის ნამოქმედარისა და შემოწმება პროგრამისა რუსეთის დიდი რევოლუციის ისტორიულ მოვლენათა წინაშე. წინად თუ ჩვენ ცხოვრების ჩვეულებრივ ამბებს ვემყარებოდით და უფრო თეორიული მოსაზრებებიდან გამოვდიოდით და, ისე ვქმნიდით გეგმას სამოქმედოთ და აგრე ვსთქვათ განყენებული, გონებრივი მსჯავრისათვის, წინად თუ მოსალოდნელი რევოლუცია და გარდაქმნა რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებისა და ქონებრივ ურთიერთობისა მხოლოდ წარმოგვედგინა გონების თვალის განჭვრეტით,—მაისის კონფერენციაზე ყველაფერი ეს თითქმის განამდვილებული იდგა ჩვენს წინაშე ან განხორციელების პროცესს განიცდიდა და თეორიას პრაქტიკის ხასიათი ეძლეოდა.

რევოლუციამ წარმოგვიდგინა გადასაწყვეტად, რამდენად მართალი იყო ჩვენი მისწრაფება, რამდენად სწორი იყო ჩვენი ისტორიული პროგნოზი, მთელი ჩვენი მსოფლმხედველობა. მივყვდით თუ არა არჩეულს გზას მიზნისკენ და მიგვიყვანდა თუ არა იგი საწადელთა სამეფოში? დიადი და მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქნა არა მარტო რუსეთისა და კერძოდ საქართველოსთვის, არამედ საქმე შეეხებოდა თვით ჩვენის პარტიის არსებობასაც—ჰქონდა თუ არა ნიადაგი ჩვენს ყოფნას, ჩვენს დამოუკიდებელ განსხვავებულ მოღვაწეობას? იყო თუ არა ჩვენი პარტია და ჩვენი მოძღვრება ცხოვრებას დაშორებული ფიქრის მშრალი ნაყოფი, თუ აღმოცენებული იყო უდიდეს სინამდვილეზე?

უნდა აღვნიშნოთ სიხარულით, რომ ის ისტორიული გამოცდა, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი რევოლუცია ყველა პოლიტიკურ პარტიისათვის, ჩვენის იდეური გამარჯვებით დათავრდა და ჩვენი პარტია რევოლუციონურ ცეცხლიდან გამოვიდა გამობრძმედილი, სპეტაკი და გაკაჟებული. იშვიათად თუ სხვა რომელიმე პარტიის პროგრამა გაამართლა და განამტკიცა რევოლუციამ ისე, როგორც თითქმის ყოველივე დებულება ჩვენის პროგრამისა. ეს ყოვლად ნათელი შეიქნა რევოლუციის პირველ თვეებშივე, მაგრამ განსაკუთრებით უეჭო და ცხადია დღეს ყველასთვის. შემდეგ ამხანაგმა კონკრეტიულად მაგალითებით განმარტა თავისი აზრი და ცხადჰყო, თუ როგორ გამართლდა ჩვენი პოლიტიკურ-ეროვნული მისწრაფებანი, აგრარული პროგრამა და საერთო მსოფლმხედველობა პარტიისა. ყოველ სავის ზემონათქვამის გათვალისწინება განაგრძო მომხსენებელმა, აუცილებლად საჭიროა. როცა თვალს გადავავლებთ იმას, რასაც ვაკეთებდით და ვაკეთებთ. მცირე პარტიაა ჩვენი პარტია, მაგრამ მისი პოლიტიკა ყოველთვის უფრო წინ დახედული, გამჭრიახი იყო და მის საქმეს, პატარა საქმეს მეტი შემოქმედება, ორიგინალობა, ნიადაგიანობა ემჩნეოდა. როგორც აღმოცენდა პარტია ჩვენი ქვეყნის სინამდვილის ნიადაგზე, ისე მთელი მისი მოღვაწეობა მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ იმისკენ, რასაც მოითხოვს ქართველი ერის და მშრომელი ხალხის ინტერესი. ჩვენი პარტია არაა მარტო სოციალისტური, ინტერნაციონალური ამ სიტყვის მაღალის მნიშვნელობით, იგი ამასთანავე ეროვნულია, ვინაიდგან მშრომელი მასა, ხალხი ყოვლის უწინარეს არის ერი, და მისი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ წრეში თუ ჩვენთვის სოციალიზმი უდიდესი საკაცობრიო იდეალია, რომელიც სრულს განახლებას განუმზადებს მსოფლიოს, თუ ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის კლასიურია და ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს,—უნდა ვსთქვათ ისიც თამამად, რომ ერისა და ეროვნების ისეთი ფხიზელი და წმინდა დამცველი არავინაა, როგორიცაა ჩვენი პარტია. ეს შეურყეველი მტკიცე მცნება ასულდგმულებს როგორც მთელ პარტიას და ისე თითოეული წევრის მუშაობას...

როდესაც მაისის პირველ თავისუფალ კონფერენციაზე შევიკრიბენით და წარვდექით რევოლუციის წინაშე, ჩვენ შეიარაღებულნი ვიყავით სრული პროგრამით, რომლის არც ერთს მუხლს და დებულებას არ ესაჭიროებოდა გამოცვლა ან შესწორება. საჭირო იყო მხოლოდ პრაქტიკული მუშაობის გაფართოვებისათვის პროგრამის ზოგი აზრის გაშლა, განმარტება, აგრე ვსთქვათ დეტალიზაცია. ასეთი იყო მაგალითად რუსეთის ფედერაციის და საქართველოს ავტონომიის ცალკე მუხლებად ჩამოყალიბება და პრაქტიკულ ზომების მიღება მიწის საკითხის გადასაწყვეტად. უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკულ მოქმედების გაფართოვებას, გაცხოველებას—განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას უკვე განსტკიცებულ გეგმისას.

კონფერენციაზე გამოტანილი რეზოლუციები დაედვა ახლობელ საფუძვლად მთავარ კომიტეტის მუშაობას და მან მთავარი ყურადღება მიაქცია ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა აღდგენას, რომელიც უპირველეს მორიგ საკითხად მიიჩნია—ახალი პოლიტიკური თავისუფალი წყობილების დამყარება რუსეთში საძირკველია ყოველგვარი განახლებისა. ამ მიზნის მისაღწევად გარდა იდეური ბრძოლისა და პროპაგანდისა აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნდა მოლაპარაკება და შეთანხმება რუსეთის სხვა და სხვა ერთან, მორიგება და შეკავშირება ყველა ჩვენებურ პარტიებისა და რაიმე ეროვნულის ცენტრის შექმნა თუნდაც სულ მინიმუმის პროგრამით საქართველოს ნებისყოფის გამოსახატავად. მთავარმა კომიტეტმა რამდენიმე ენერგიული ნაბიჯი გადადგა ამისთვის კონფერენციის შემდეგ და მისმა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო მხოლოდ ზაფხულის დამდეგს, როცა შედგა ქართული პარტიების საინფორმაციო ბიურო, რომელიც მერე გადაკეთდა ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოდ. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, განსაკუთრებით რაკი რუსეთის რევოლუცია მეტად გართულდა, დაიხლართა და მდგომარეობა მეტად გამწვავდა. ამიტომ ავძარით საბჭოში საკითხი ეროვნულ ყრილობის მოწვევისა, რაიც ისე ბრწყინვალედ დამთავრდა და ველარსეთ მრავალ თაობის ოცნების განხორციელებას: შეერთდა, ერთად შეიკრიბა მთელი ქართველობა განუყრელად მიმართულების, ეცნო თავისი თავი ერად და მოითხოვა ერთხმად თავისუფლება. მართალია, ეროვნულ ყრილობაზე არ განხორციელებულა მთელი ჩვენი მისწრაფება და ყრილობას არ გამოუცხადებია ერის სუვერენიული უფლებები, მაგრამ სიხარულით მივეგებებით მცირესაც, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ პირველს ნაბიჯს ლოღიკური აუცილებლობით მოჰყვება შემდეგი და ეროვნული ყრილობის გაკეთებული საქმე სამუდამოდ უზრუნველჰყოფს ქართველი ხალხის სრულს განთავისუფლებას.

მთელი ქართველობის გულისყური დღეს ეროვნულ საბჭოსკენაა მიქცეული და სამართლიანადაც, რადგან აქ იჭედება მეტი ჩვენის აღდგენისა. ჩვენი პარტიის წარმომადგენლები დიდის სიყვარულით და ენერგიით მუშაობენ საბჭოს სხვა და სხვა სექციებში, ერთი ჩვენი ამხანაგი სულით და გულით საბჭოს მთელი სამხედრო საქმეებისა, მეორეს აბარია სასამართლოს და ადმინისტრაციის თავმჯდომარეობა, მესამეს მეურნეობის და სურსათის.

ჩვენი ერის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მთელი კავკასიის ბედთან ამიტომ ჩვენი მუდმივი მეცადინეობა იყო კავკასიელ ერებთან შეთანხმება და კეთილმეზობლური კავშირის დამყარება ურთიერთის პატივისცემით და უფლებათა აღიარებით. ამისთვის მთავარ კომიტეტს რამდენიმე კერძო მოლაპარაკება ჰქონდა სხვა და სხვა პარტიებთან, შემდეგ შეამუშავა კავკასიის საერთო ყრილობის მოწვევის გეგმაც და სათანადო მოწოდებით მიმართა ქართველ, სომხის და თათრის პარტიებს და თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ზოგიერთები გამოგვეხმაურენ, მაგრამ მუშაობას განვაგრძობთ. ამ საქმისთვის მუშაობს საქართველოს ეროვნული საბჭოც და იმედი გვაქვს, რომ ეს მუშაობა მალე დამთავრდება სასურველად და ვიხილავთ კავკასიის ერების კავშირს, რომელიც მტკიცედ დაიცავს შემადგენელ ნაწილების თავისუფალ ეროვნულ არსებობას.

ჩვენი მოძღვრების ერთი ქვაკუთხედთაგანია ფედერაცია, ფედერატიული პრინციპი, კარგად ვიცით, რომ ფედერატიული რესპუბლიკის დამყარება რუსეთში ჩვენს საკუთარ ძალებს აღემატება; საჭირო იყო საკითხის ფართო მასშტაბით წამოყენება, საფედერაციო აზრების და ორგანიზაციების ხელის შეწყობა რუსეთის სხვა ერებში, შეკავშირება ყველა დაჩაგრულ ერისა რუსეთის გარდასაქმნელად ახალ საფუძვლებზე. ამ მიზნით მთავარმა კომიტეტმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო პეტროგრადში დაარსებულ ეროვნულ სოციალისტების საბჭოს მუშაობაში როგორც ადგილობრივად მომუშავე პარტიულის წევრების, ისე აქედან საგანგებოდ გაგზავნილ დელეგატების საშუალებით. ჩვენმა ამხანაგებმა ამ საბჭოში საყოველთაო ყურადღება დაიმსახურეს და ერთი მათგანი საბჭოს სახელით რესპუბლიკის საბჭოშიაც იქნა არჩეული. ამავე საქმისთვის: საერთაშორისო სოლიდარობისა და ფედერაციის აზრების განსამტკიცებლად მთავარმა კომიტეტმა ორჯელ გაგზავნა თავისი რწმუნებული კიევში როგორც კერძოდ უკრაინელებთან დასაახლოვებლად ისე იმ ერთა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოწვეული იყო კიევში. აქაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა ჩვენმა წარმომადგენელმა და მის სიტყვებს ყოველთვის აღფრთოვანებით ეგებებოდნენ.

ჩვენი წარმომადგენლები გვყავდა გაგზავნილი პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე და რესპუბლიკის საბჭოს წევრად გარდა ზემო დასახელებულისა არჩეული იყო მეორე ჩვენი ამხანაგიც...

ყოველი სოციალისტური პარტია ცდილობს სხვა სოციალისტურ პარტიებთან შეთანხმებას. რუსეთში ყველაზე უფრო გვენათესავება ჩვენ ესერების პარტია, რომელთანაც წინად დაახლოვებული და კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ჩვენ ყოველთვის დიდად ვაფასებდით ასეთი ძლიერი ძ გავლენიანი პარტიის თანაგრძნობას და დახმარებას ჩვენი მიზნების განხორციელებისათვის. სამწუხაროდ ზოგიერთი ადგილობრივ ს.-რევოლუციონერის ყოვლად უმსგავსო გამოსვლის მეოხებით ჩვენი და ესერების ურთიერთობა არ იყო სასურველი ბოლო დროს. ამიტომ მთავარმა კომიტეტმა ორი ამხანაგი გაგზავნა მოსკოვში ს.-რევ. ყრილობაზე, რომელთაც სათანადო განმარტება წარუდგინეს პარტიის ხელმძღვანელ წევრებს. ამის შედეგი იყო სხვათა შორის რომ ამ სამი თვის წინად ტფილისში ჩამოვიდა ს.-რევ. ცენტრალური კომიტეტის წევრი მინორი, რომელსაც უნდა აღედგინა წინანდელი ურთიერთობა ჩვენი და ს.-რევ., მაგრამ ბოლშევიკების გამოსვლამ შეუშალა ხელი ..

აქვე ვმუშაობდით ადგილობრივი მთავრობის ცენტრში, რომ ჩვენ ხმას ისე თუ ასე გასავალი ჰქონოდა. ვცდილობდით, რომ ადგილი, რომელიც რევოლუციის პირველმა მთავრობამ არგუნა ჩვენს აწ განსვენებულს ძვირფას ამხანაგს კიტა აბაშიძეს, ისევ ჩვენს ხელში დარჩენილიყო, თუ უკანასკნელი ავადმყოფობისა გამო ვერ შესძლებდა საქმის გაძღოლას. კერენსკის გამოლაშქრებამ აღძრა საკითხი, რომ გაუქმებულიყო ძველი კომისარიატი და შემდგარიყო ახალი წმინდა სოციალისტური და რევოლუციონური, და ს.-დემ. და ს.-რევ. გადასწყვიტეს, რომ ახალს კომისარიატში ადგილი ჰქონოდათ მხოლოდ მათ ამხანაგებს. ამის წინააღმდეგ ცხარე პროტესტები გამოვაცხადეთ და საჯაროდ დავგმეთ ჩვენც, დაშნაკელებმა და მუსულმანებმაც. როცა ბოლშევიკების გამოსვლას მოჰყვა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის დაარსება, ერთი კომისარის (მინისტრის) პირველი და ერთის თანაშემწეობა ჩაბარეს ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც—ვფიქრობთ—უკანასკნელის როლს არ თამაშობენ ამიერკავკასიის დღევანდელ კომისარიატში.

იშვიათად ყოფილა ისეთი ფართო ხასიათის პოლიტიკური გამოსვლა ან კრება, რომელშიაც არ მიგვეღოს მონაწილეობა. მართალია მცირე ადგილი გვქონდა დათმობილი, მაგრამ ყოველთვის მხნედ ვიცავდით როგორც საერთოდ რევოლუციას ასე კერძოდ ქართველი ხალხის ინტერესებს. ზაფხულის დამდეგს რომ კავკასიის გლეხთა დეპუტატების ყრილობა გაიმართა, ჩვენ მხოლოდ ორიოდე წარმომადგენელი გვყავდა იქ, მაგრამ მათი გავლენა გაცილებით დიდი იყო და ამის შედეგი იყო, რომ ერთი ჩვენი ამხანაგი ცენტრში აირჩიეს. ამ რამდენიმე კვირის წინად მოხდა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ახალი არჩევნები, ამ საბჭოში ჩვენ უკვე რვა წარმომადგენელი გვყავს, რომელთაგან ორი აღმასრულებელ კომიტეტში არის არჩეული...

ერთი სიტყვით მოკლედ თუ გადავავლებთ თვალს გავლილ თვეებს, აგრე ვსთქვათ პოლიტიკის ცენტრში ჩვენ ყოველთვის ჯეროვნად ვიცავდით ჩვენს პოზიციას და პარტიულ ინტერესებს.

მაგრამ, სთქვა შემდეგ ამხ. მომხსენებელმა: რასაკვირველია ეს ოდნავად საკმარისი არაა. მიუხედავად იმისა, ჩვენი დროშის ქვეშ შემოკრებილია ქართველი ხალხის ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილი,—უნდა აღვიაროთ დიდის გულის ტკივილით, რომ ჩვენი პარტია აქამდის არაა ფართო მასის პარტია. და ვიდრე ასეთი არ შეიქნება, მისი როლი და მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში ყოველთვის სუსტი იქნება შედარებით. ჩვენი იდეების სიმკვიდრე ყოველ ეჭვს გარეშეა, ბევრი მათგანი უკვე ხორციელდება, ხოლო ხორციელდება სხვისის ხელით და ცხადია, ვერ მიიღებს იმ სრულს სახეს, როგორც ეს ჩვენ გვწადია.

ამიტომ თუ გვინდა, რომ არ შეგვრჩეს მხოლოდ ოპოზიციის როლი—ხან ძლიერის, ხან სუსტის—მთელი ჩვენი ყურადღება ეხლა უნდა მივაქციოთ შიგნი მუშაობას გაძლიერებას, შევ-ჰკრათ [illegible] მძლავრად შევიმუშაოთ ის ფართო მასა, ის [illegible] მხოლოდ მოგვიტანია ჩვენი მოძღვრება. საამისოთ ჩვენ უკვე ყოველის მხრით მზადა ვართ იდეურად, სამოქმედო ელემენტი გვყავს, ნიადაგი მოგვეპოება. საჭიროა მარტო ენერგიული მოქმედება და ყოვლის უწინარეს ჩვენი ფიქრი უნდა მივაქციოთ სოფელს. მართალია, ჩვენს პროგრამას ბევრი რამ ახალი შეუძლია მოუტანოს ქართველ პროლეტარიატს, რაც არ მოიპოვება სხვა პროგრამებში, მაგრამ მაინც, მთავარი სარბიელი ჩვენი მუშაობისათვის სოფლის მუშა გლეხობაშია. სოფელში უნდა ავაფრიალოთ მაღლა ჩვენი დროშა, ვინაიდგან არავის მიემხრობა ისე გულით მშრომელი გლეხობა, როგორც ჩვენს პარტიას.

ამასთან აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენი სასოფლო მუშაობა იყოს სისტემატიური და სწარმოებდეს ნათლად გარკვეულის გეგმის მიხედვით. უნდა მხედველობაში მივიღოთ ჩვენი ძალების რაოდენობა და არ გავფანტოთ ყველგან—ვყოთ ყველგან და არსად სამუშაო ძალა არ გვყოფნიდეს...

ამასთანავე ერთად საერთო მუშაობის გაძლიერებისათვის უნდა მოხდეს პარტიაში მკაცრი რეგისტრაცია წევრებისა და დამყარდეს შეურყეველი დისციპლინა. გარკვეული წარმოდგენა უნდა გვქონდეს ყოველი წევრისა და ყოველ წევრს ღრმად უნდა ჰქონდეს შეგნებული თავისი მოვალეობა არა მარტო პასიური—მორჩილება, არამედ აქტიურიც—საქმიანობა. ცოტანი ვართ რიცხვით, მაგრამ ვინცა ვართ, ყველანი სასტიკად პასუხისმგებელნი ვიყოთ და დაუღალავად, თავგანწირულად ვმუშაობდით პარტიის გაძლიერებისათვის.

ამხანაგებო, ასე დაათავა მოხსენება ამხ. სამ. ფირცხალავამ: ბევრი ნაკლი ჰქონდა და აქვს ჩვენი პარტიის ცხოვრებას, ბევრი სამწუხარო სურათი წარმოგვიდგება წინ, ბევრი საწყენი მოგონება გაგვიცხოველდება, მაგრამ უფრო ბევრია ისეთი რამ, რაც გულს იმედით და რწმენით აღავსებს, ასეთია ყოვლის უწინარეს სიმდიდრე და სიმტკიცე ჩვენის პროგრამისა, რომელიც კიდევ უფრო ძვირფასია მით, რომ მრავალი უსამართლო დევნა ხვდათ წილად მის მიმდევრებს. არა ერთი და ორი ამხანაგი შეეწირა მსხვერპლად ჩვენს მოძღვრებას, რომელთა სახელები მუდამ დაუვიწყარი იქნება ქართველი მშრომელი მასისა და ქართველი ერისათვის. მრავალია დღეს ჩვენს პარტიაში ისეთი მუშაკი, რომელიც ყოველი პარტიის დამამშვენებელი იქნებოდა. დიადია საქმე, რომელსაც ჩვენი პარტია ემსახურება. აღვიჭურვოთ ყოველივე ამით, მეტის ენერგიით და სიმხნით შევუდგეთ მოქმედებას და დარწმუნებული ვიყოთ, რომ მიუხედავად ათასნაირის დაბრკოლებისა, რომელიც წინ გადაგვეღობება, ჩვენი იდეა მაინც გაიმარჯვებს! დეე, ეს წელი, რომელიც ეხლა იწყება, დამთავრდეს ჩვენის იდეალის გამარჯვებით—ქართველი ერის სრულის განთავისუფლებით და რადიკალურ სოციალურ ცვლილებით, ყოვლის უწინარეს მიწის საკითხის გადაჭრით მშრომელ გლეხობის სასარგებლოდ, რომ ამიერიდან გზა ფართოდ გაიკაფოს კაცობრიობის უდიდესმა მისწრაფებამ—სოციალიზმმა. დეე, ჩვენი პარტია შეხვდეს მომავალ წელს არა მარტო იდეური სიმძლავრით, არამედ თავის საქმის, თავის ძალების გაათკეცებით!...

# ზავის გარშემო

## ზავი ოსმალეთთან

**საოლქო ცენტრის პასუხი ოსმალეთის წინადადებაზე.**

საოლქო ცენტრის 4 იანვრის სხდომაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღეს ოსმალეთის საზავო წინადადების საპასუხოდ: „ზავი უნდა დამყარდეს ისეთ საფუძველზე, რომელიც მიღებულია რუსეთის დემოკრატიისათვის. ამის გამო საჭიროდ ვსთვლით გაუწყოთ, რომ ჩვენ რუსეთის რესპუბლიკის ნაწილს შევადგენთ და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შევუდგეთ საზავო მოლაპარაკებას, როდესაც სათანადო რწმუნებულება მოგვცემს ახლად შეკრებილ დამფუძნებელ კრებისაგან. ჩვენს დეპუტატებს, რომელნიც დამფუძნებელ კრებაზე მიემგზავრებიან, დავალებული აქვსთ პირველ რიგში დასვან განსახილველად თქვენი საზავო წინადადება და პასუხიც დაუყოვნებლივ გეცნობებათ.

ამასთანავე საოლქო ცენტრი წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის კომისარიატს გამართოს მოლაპარაკება რუსეთის ყველა ეროვნულის მთავრობებთან და მათ შორის აგრეთვე სახალხო კომისარიატის საბჭოსთან.

**კავკასიის ფრონტის ყაზახები და ოსმალეთის წინადადება.**

კავკასიის ფრონტის ყაზახთა ორგანიზაციის გამგეობამ 3 იანვრის სხდომაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო ოსმალეთის საზავო წინადადების შესახებ:

1) ზავის შეკვრის უფლება აქვს მხოლოდ დამფუძნებელ კრებას და ზა-

ვის საკითხი სრულიად რუსეთის მასშტაბში უნდა იქმნას გადაჭრილი. ამის გამო კავკასიის ფრონტის ყაზახთა ორგანიზაციის გამგეობა კათეგორიულ პროტესტს აცხადებს სეპარატიულ ზავის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე.

2) იმ შემთხვევაში თუ დამფუძნებელი კრება ვერ შესძლებს თავის მუშაობის დაწყებას და თავის თავად წამოიჭრება საკითხი სეპარატიული ზავის აუცილებლად შეკვრის შესახებ, ყ. ზ. ხთა გამგეობა აცხადებს, რომ ზავის შეკვრაში უეჭველად უნდა მიიღონ მონაწილეობა ყაზახებმა, რომელნიც მთელ ამ ომის განმავლობაში სისხლს ღვრიდნენ კავკასიის ფრონტზე, და როგორც კავკასიის მცხოვრებნი დაინტერესებულნი არიან ზავის შეკვრაში და მისი პირობების შემუშავებაში არა ნაკლებ სხვა დანარჩენ ერებისა, რომელნიც კავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ.

დაადგინეს ეს რეზოლიუცია აცნობონ ამიერკავკასიის კომისარიატს. ამიერკავკასიის ეროვნულ საბჭოებს, სრულიად ფრონტის ყაზახთა გამგეობას, ყუბანის და თერგის ყაზახებს.

## ზავი გერმანიასთან.

### საზავო მოლაპარაკება.

სახალხო კომისარების წინადადებაზე, საზავო მოლაპარაკება ერთ-ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოში გადავიტანოთო, ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა უპასუხეს „ჩვენ ან ბრესტლიტოვსკში ვაწარმოებთ საზავო მოლაპარაკებას, ან სრულებით შევწყვეტავთ მასო“.

### მოკავშირეების პირობები.

ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის ე. გეგეჭკორის სახელზე დეპეშა მოვიდა მოკავშირე სახელმწიფოთაგან, რომელშიაც ის პირობებია აღნიშნული, რომლითაც ისინი თანახმა არიან ცენტრალურ სახელმწიფოებთან შეკრან ზავი, სხვათა შორის მოკავშირეები მოითხოვენ, რომ ოსმალეთის იმ ადგილებში, რომელნიც დაპყრობილია ომის დროს, ავტონომია იქნას გამოცხადებული.

### ვილსონის საზავო პროგრამა.

ვილსონმა თავის ვრცელ სიტყვაში შემდეგი საზავო პროგრამა წარმოადგინა:

1) საზავო ხელშეკრულებები შემუშავებული უნდა იყოს აშკარად და არავითარი კერძო საერთაშორისო შეთანხმებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. დიპლომატია არ უნდა მოქმედებდეს ფარულად და ყველაფერი საზოგადოებრივ აზრთან შეთანხმებით უნდა სწარმოებდეს.

2) ყველა ზღვაზე მიმოსვლა თავისუფალია, როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზღვა დაკეტილა საერთაშორისო მოქმედების გამო.

3) ეკონომიური დაბრკოლებანი უნდა მოისპოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და ვაჭრობის პირობები თანასწორი უნდა იყოს ყველა იმ ერისთვის რომელიც სცნობს ზავს და მის განმტკიცებას მხარს უჭერს.

4) მტკიცე გარანტიები უნდა იქნეს იმისა, რომ ხალხის შეიარაღება მინიმუმამდე შემცირდება.

5) კოლონიების საკითხი უნდა იქმნას გადაჭრილი იმ სამართლიან პრინციპის დაცვით, რომ დაინტერესებულ მცხოვრებთა ინტერესებთან ერთად თანასწორი ყურადღება უნდა მიექცეს მთავრობების სამართლიან მისწრაფებებს.

6) რუსეთის ტერიტორია უნდა განთავისუფლებულ იქმნას და რუსეთის ყველა საკითხი ისე გადაჭრილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს დანარჩენ ერთა თანამშრომლობა და რუსეთის პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებელ და დაუბრკოლებლად ისე შესძლოს თავისუფლად შევიდეს თავისუფალ ერთა კავშირში იმ კანონების საფუძველზე, რომელთაც თვითონ შეიმუშავებს. ასეთივე რუსეთს უნდა აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება.

7) აღდგენილ უნდა იქმნას ბელგია, როგორც ამას მთელი მსოფლიო აღიარებს და არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება შეზღუდოს მისი სუვერენიტეტი, რომლითაც ის სარგებლობს დანარჩენ თავისუფალ ერებთან ერთად.

8) საფრანგეთის მთელი ტერიტორია უნდა განთავისუფლებულ იქმნას და დაპყრობილი ადგილებიც აღდგენილი. უნდა გასწორდეს ის შეცდომა და უსამართლობა, რომელიც ჩაიდინა პრუსიამ საფრანგეთის მიმართ 1871 წ. ელზას-ლორენის ხელში ჩაგდებით.

9) იტალიის საზღვრები უნდა გასწორდეს ეროვნული მოსახლეობის მიხედვით.

10) ავსტრია-უნგრეთის ერებს უნდა მიენიჭოს ავტონომიური განვითარების შესაძლებლობა, რათა სხვა ერთა შორის ისინიც იყვნენ უფლება მოსილი.

11) რუმინიის, სერბიის და ჩერნოგორიის ტერიტორია განთავისუფლებულ უნდა იქმნას და დაპყრობილი ადგილები აღდგენილი. სერბია თავისუფალ ერთეულად უნდა გამოცხადდეს და მიეცეს გასავალი ზღვისკენ. ბალკანეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა უნდა გადაწყდეს ძმური თათბირით კავშირთა და ერთა ისტორიასთან შეთანხმებით. უნდა განმტკიცებულ იქმნას საერთაშორისო გარანტიები პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიალურ ხელშეუხებლობისა.

12) ოტომანის იმპერიის ოსმალურ ნაწილებს სრული სუვერენიტეტი უნდა მიენიჭოს. ოსმალეთის მფლობელობაში მყოფ სხვა ერები უნდა უზრუნველ ჰყოს თავისუფალი ავტონომიური განვითარება. დარდანელის სრუტე უნდა ღია იყოს თავისუფალი მიმოსვლისა და თავისუფალ ვაჭრობისათვის საერთაშორისო გარანტიებით.

13) უნდა შესდგეს პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელშიც შევა პოლონელებით დასახლებული ადგილები. მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური ხელშეუხებლობა უნდა უზრუნველყოფილ იქმნას საერთაშორისო შეთანხმებით.

14) ერთა საყოველთაო კავშირი უნდა შესდგეს საგანგებო შეთანხმებით საერთიერთო გარანტიების მიღწევის მიზნით, როგორც პოლიტიკური თავისუფლებისა დიდი და პატარა სახელმწიფოთათვის.

ყველა ამ უსამართლობის მოსპობაში და უფლების განმტკიცებაში ჩვენ სხვა ერებთან ერთად ვიბრძვით იმპერიალისტების წინააღმდეგ. შეთანხმების და ხელშეკრულებების შემუშავებაში ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ უფლების დაცვისა და სამართლიანი მტკიცე ზავის დამყარებისათვის.

# მეორე რევოლუცია

## „დამფუძნებელი კრება“

დამფუძნებელი კრება გაიხსნა. პირველ სხდომაზევე, დილის 7 საათზე თავრიდის სასახლეში გამოეცხადნენ რაზმელები და ბოლშევიკების დეკრეტი წაიკითხეს დამფუძნებელი კრების დაშლის შესახებ.

### დამფუძნებელი კრების გახსნა

დამფუძნებელი კრება გაიხსნა 5 იანვარს. კრება გახსნა სვერდლოვმა, თავმჯდომარედ ბოლშევიკებმა წამოაყენეს სპირიდონოვა, მარჯვენა ფრთამ ჩერნოვი. პირველმა მიიღო მხოლოდ 150 ხმა, ხოლო ჩერნოვმა 260. ამრიგად არჩეულ იქმნა ჩერნოვი.

### ბოლშევიკების ულტიმატუმი

სვერდლოვმა მ. საბ. ცენტრ. კ. სახელით წინადადება მისცა დამფ. კრებას სცნოს და დაამტკიცოს ყველა დეკრეტი ბოლშევიკების მიერ გამოცემული და მიიღოს მათი პროგრამა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლშევიკები იმუქრებიან, რომ გარეკავენ დამფუძნებელ კრებას.

### მანიფესტაციები და შეტაკებები

პეტროგრადში დიდი მანიფესტაციები ხდება დამფუძნებელი კრების გახსნის გამო. წითელი რაზმელები მანიფესტანტებს ესვრიან. ლიტეინი პროსპექტზე დიდი შეტაკება მოხდა. მრავალი მოკლულია. მათ შორის დამფ. კრების წევრი ვოლგინი.

ასეთივე მანიფესტაციები მოხდა მოსკოვში. წითელ რაზმელებმა და ჯარის-კაცებმა ომი გამოუცხადეს მანიფესტანტებს. მთელი დღე სროლა იყო, მოკლულია 17, დაჭრილი 200.

### დამფუძნებელი კრების დაშლა.

პირველი კრება დილამდე გაგრძელდა. სიტყვები წარმოსთქვეს ბოლშევიკმა ბუხარინმა და წერეთელმა. დილის 7 საათზე მოვიდნენ წითელი რაზმელები და გამოაცხადეს, რომ ბოლშევიკების დეკრეტის ძალით დამფუძნებელი კრება დაშლილია.

### რუსების და უკრაინელების შეთანხმება.

მემარცხენე ს.-რევ. და უკრაინელ ს.-რევოლიუციონერების შეთანხმებას საფუძვლად დაედო შემდეგი პრინციპები: დამფუძნებელმა კრებამ პირველ ყოვლისა მონარქია საბოლოოდ დამხობილად უნდა აღიაროს და რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა გამოაცხადოს.

### გლეხთა ყრილობა და უკრაინელები.

12 იანვარს პეტროგრადში გლეხთა დეპ. ყრილობა უნდა გაიხსნას. ყრილობაზე მოწვეული არიან აგრეთვე უკრაინელი გლეხები, უკრაინელთ ჯერ თანხმობა არ განუცხადებიათ.

### სრულიად ციმბირის მრეწველთა ყრილობა.

სრულიად ციმბირის ოქროს მრეწველთა პირველი ყრილობა გაიმართება 14—16 იანვარს კრასნოიარსკში. ყრილობის მიზანია დაიცვას ოქროს მრეწველობა მოსალოდნელ რღვევისაგან რომელიც სახელმწიფოს დიდ განსაცდელს უმზადებს.

### რუსეთის ფული.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ შვეციის ბანკები კატეგორიულ უარს აცხადებენ რუსეთის ჩეკების ყიდვა-გაყიდვაზე. ამის გამო შვეციის ვაჭარ მრეწველთა წრეებში დიდი პანიკაა. შვეციის სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეგ ზომა გამოწვეულია რუსეთის ფულის ბაზრის დაცემის და რუსეთის ბანკების მოქმედებით, რომელნიც უარს ამბობენ სტოკჰოლმში ნაღდ ჩეკების განაღდებაზე.

### სამოქალაქო ომი ფინლიანდიაში

ფინლიანდიიდან იტყობინებიან, რომ ჰელსინგფორსში სამოქალაქო ომი დაიწყო. წითელმა რაზმმა დაიკავა გენერალ-გუბერნატორის ბინა და ფინელ ს.-დემოკრატების დამოუკიდებლად მოქმედებს.

### რუმინიის ელჩის განთავისუფლება.

2 იანვარს სატუსაღოდან განთავისუფლეს რუმინიის ელჩი დიამანდი. მან განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მისი დატუსაღება არ იყო მისთვის მოულოდნელი. დიამანდის აზრით ინტრიგას აწარმოებდა ავსტრიის გენერალური შტაბი. დიამანდი დაწვრილებით შეეხო მისი დატუსაღების ამბავს ის წაიყვანეს პეტრე-პავლეს ციხეში შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა, რომელთაც თოფები მის საფეთქელზე ჰქონდათ მიბჯენილი. ციხეში ის მოათავსეს ტერეშჩენკოს კამერაში. მეორე დღეს მან ნახა ტერეშჩენკო, უკანასკნელი გამადარებულა, წვერი გაუშვია და ტიპიური რევოლიუციონერის გამომეტყველება აქვს. 2 იანვარს დილით დიამანდისთან მოვიდა ციხის უფროსი და განუცხადა რომ განათავისუფლებს მას, თუ ის დაპირდება, რომ რუმინელების მიერ შეპყრობილი რუსებიც განთავისუფლებული იქნებიან. დიამანდიმ კატეგორიული უარი განუცხადა მათ. შემდეგ იმავე შინაარსის წერილითი მოთხოვნა გამოუგზავნეს მას. მაგრამ მან ხელი არ მოაწერა. ამის შემდეგ ის გაანთავისუფლეს. ეტლზე მას უარი უთხრეს. საფრანგეთის ელჩმა საკუთარი ავტომობილი გამოუგზავნა დიამანდის.

# ახალი ამბავი

◆ **მაჰმადიან ძმების თხოვნა.** ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან ქობულეთის რაიონის წყავროდის სოფლის რწმუნებულები იუნუს წულუკიძე და ქემალ ნუღადელი, რომელთაც მონდობილი აქვთ შემოწირულობის შეგროვება იქაურ ქართველთა შორის პირველ დაწყებითი სკოლის დასაარსებლად ს. წყავროდში. განზრახულია ამ სკოლასთან დაარსდეს აგრეთვე ქალთათვის ხელსაქმის სასწავლებელიც საქსოვ განყოფილებით, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება აჭარელთა ცხოვრების ეკონომიურ განვითარებისათვის. სოფლის მკვიდრ ქართველმა მაჰმადიანებმა ხუთი ათასი მანეთი გაიღეს, მაგრამ საჭიროა სულ თორმეტი ათასი მანეთი.

სრული იმედი გვაქვს მაჰმადიან ძმების მოწოდებას დახმარებისათვის დიდის თანაგრძნობით შეხვდება ყოველი ქართველი და ძმურად გაუწოდებს ხელს ყველა, ვისაც როგორ შეუძლია. ასეთი დახმარება ჩვენის მხრით აუცილებლად ხელს შეუწყობს იმ ერთობის და კავშირის განმტკიცებას, რომელიც ყოველთვის უნდა გვაერთებდეს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს!

◆ **კავკავის ამბები.** კავკავის ქალაქის კავშირი თავმჯდომარემ აცნობა დეპეშით ქალაქის მოურავს, რომ ქალაქი მეტად კატასტროფიულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ინგუშები სცარცვენ ქალაქს, უკიდებენ ცეცხლს სახლებს, სავაჭრო დაწესებულებების ქონება დატაცებულია და ყველაფერი ნაქურდი ინგუშებს მიაქვთ თავის სახლში დახმარება არსაიდან სჩანს, ქალაქთა კავშირის მსახურნი უადგილოდ სხდან, სთხოვეთ შტაბს, რომ ჯარი მოგვაწოდონ და ფულიც გამოგზავნეთ. ქალაქის თავმა ნ. ზ. ელიავამ აცნობა რომ შტაბი უარს ამბობს, ფულსაც ვერ მოგაშველებთო მოდის მხოლოდ შემთანხმებელი კომისია პოლიტიკურ პარტიებიდანაო.

◆ **ჟურნალი „ჯეჯილი“.** ქ-ნ ანასტასია წერეთლის [illegible] გამო ჟურნალ „ჯეჯილის“ ხელმძღვანელობას [illegible] კოლეგია, რომელშიაც შედიან: ქრისტინე შარაშიძე, ალ. ფაღავა, ან. ბახუტაშვილი (ცქვიტი), ან. რცხილაძე-წუწუნავასი და ნ. ჩაგუნავა-მელაშვილისა.

◆ **ქართველ ვაჭართა აღმასრულებელ კომიტეტის** სხდომა შესდგა 7 იანვარს ალ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. კრებამ დაადგინა ყველა კომისიების თავმჯდომარეებმა 4 დღის განმავლობაში ე. ი. 12 იანვარისათვის წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, რის გაღება შეუძლიათ ქართველ ვაჭრებს ქართველ ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

◆ **აკაკის სახელობის საბავშვო** ბაღში სწავლა 8 იანვარს განახლდა. ბავშვების მიღება გრძელდება.

◆ **ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა.** 10 იანვარს ქ. ბათომში გაიხსნება ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა. ყრილობა დიდ მნიშვნელოვანია. ამ ყრილობის დასასწრებლად დღეს ტფილისიდან ბათუმს მიემგზავრებიან სამ. ფირცხალავა, მაჩაბელი და კ. კობახიძე.

◆ **არეულობა კავკავში.** კავკავსა და ახლო მდებარე „სტანიცებში“ დიდი არეულობაა ყაზახებსა და ინგუშებს შორის ცხარე ბრძოლა სწარმოებს. ადგილობრივ ძალებით არეულობის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა, ამიტომ პორ. ზუგოვარიოვმა თხოვნით მიმართა ტფილისში დახმარება აღმოუჩინონ, მსხვერპლი მრავალია. ამასთანავე ერთად არეულობამ თავი იჩინა ჩრდილო-კავკავის დანარჩენ ადგილებში და კავკავის რკინის გზაზე.

◆ **ხაზარელი შემთხვევა.** 7 დეკემბერს ღამის 11 ს. სრულდებოდა როცა გოლოვინის პროსპექტზე გაქანებული პარკში მიმავალი ტრამვაის ვაგონი დაეჯახა „რესპუბლიკის“ ახლო ლიანდაგზე გარდამავალ ეტლს, რომელშიაც ოფიცერი და ერთი ქალი ისხდნენ. ტრამვაის ვაგონმა ეტლი ორად გაწყვიტა: მეეტლე ცხენებით ერთ მხარეს გადისტყორცნა და მგზავრები მეორე მხარეს. თავგაჩეხილი ოფიცერი იქვე გარდაიცვალა, ხოლო ქალი გადარჩა. მეეტლე დაშავდა, ცხენები დასახიჩრდენ.

◆ **ქართულ ეროვნულ საბჭოს კომისიებში** დღეს 9 იანვარს საღამოს 6 საათზე დანიშნულია სამოსამართლო სექციის სხდომა.

— 10 იანვარს საღამოს 6 ს. სამაჰმადიანო სექციის სხდომაა, დანიშნული.

— აღმასრულებელ კომისიის სხდომა 11 იანვარსაა დანიშნული საღამოს 6 საათზე.

# ძველი წეს-წყობილება და რევოლუცია *)

ძველი მთავრობა რომ სასტიკ დარაჯად ედგა მეცნიერების ყოველ ახალ ნაბიჯს და მზაკვრულად სცდილობდა მის ჩაკვლას, ახალი მაგიერი უნდა იყვეს ახალ იდეებითვე დადგენილი: ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აზრი გაუმართლებელი იყო პოლიტიკური კლერიკალიზმი ხარბად არბევდა პიროვნებას და ყოველგვარ ადამიანობის გარეშე აცხადებდა პიროვნება—ეს უბრალო საღსარია, უბრალო იარაღი რჩეულთა ხელში, რომელთაც ღმერთმა მისცა ძალი და მადლიო. და ჩვენ, ჩვენი მეობა არ გაგვაჩნდა. უმრავლესობა კანონს გარეშე იყო გამოცხადებული. ე. ი. კანონის აზრი უმრავლესობას არ ემსახურებოდა, არამედ უმრავლესობა ხდებოდა კანონის მსხვერპლი. ეს კი კანონის პროფანაციაა. უმრავლესობის ცხოვრება და სამოქალაქო უფლება ისე იყვნენ დღევანდლამდე ურთიერთს დაშორებულნი, ისეთი წინააღმდეგობა იყო მათ შორის ჩამოვარდნილი, რომ კანონზე საუბარი შეუძლებელი ხდებოდა: კანონს დაკარგული ჰქონდა თავისი აზრი. იგი მიტომ კი არ არსებობდა, რომ საზოგადოება დაეფარა და ქმნილიყო მის დარაჯად, არამედ კანონი, საზოგადოების დამმონავებელ რამ ძალად იყო გადაქცეული. თავხედი უმცირესობა, ისტორიულ კადნიერებით „ბრწყინვალე წოდებად“ გამოცხადებული, თვით იყო კანონმდებელიც, და სხვა რა კანონს შეჰქმნიდნენ, თუ არა თავის ხელ-საყრელს. მათი ნება, მეუფებისაკენ მიდრეკილი, სხვა გვარად ვერ გადასწყვეტდა საკითხს. და უმრავლესობა კი, საწყალ ფურად ქცეული, ამ ცხოვრების მოწესრიგებელ რამ საშუალებად, მხოლოდ იპორკებოდა, მდაბლდებოდა უნდოდ.

მართალია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მუდამ წინ უსწრობს კანონს, სჯულ-მდებლობას, რომ კანონი ვერა-დროს ვერ დაიტევს ცხოვრების მრავალ სახეობას, მაგრამ კანონმა მინიმუმი მაინც უნდა განახორციელოს. კი, ცხოვრება მუდამ მოძრავია, მუდამ ცვალებადი, დინამიკა არის მისი სახე კანონი კი უძრაობაა, სტატიკა, მაგრამ ეს კანონის უძრაობა მინიმუმამდე უნდა იყვეს დაყვანილი, რომ რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს მოძრავ ცხოვრებას. რა უყოთ, რომ ცხოვრება უფრო ძლიერია ვიდრე კანონი. ჩვენი ცდა იქით უნდა იყვეს მიმართული, რომ რაც შეიძლება კანონი მეტად იქმნეს გამდიდრებული, გართულებული, ცხოვრებასთან დაახლოვებული. წინააღმდეგ კანონი ცხოვრების დამშლელ რამ დასაბამად გარდაიქცევა. ეს ზოგადი მოსაზრებაა უფლებისა და ცხოვრების დამოკიდებულების შესახებ. იგი მიტომ დამჭირდა რომ ამ ზოგად ფორმულებისთვის რუსეთის კერძო პირობები ზედ დამეროთო. და ამ უკანასკნელის ცხოვრება უკეთესად გაგვეთვალისწინებინა.

როგორც ყოველივე, ისე უფლებრივი საკითხიც მეტად ჩამორჩენილად სწყდებოდა რუსეთში. ცხოვრების ძახილი არ ესმოდა ძველ, ყრუ მთავრობას, რომელიც მუნჯად ყოფნას არჩევდა, რომ უხეში თათით დაემონავებინა საზოგადოებრივი ცხოვრება, შეეფერხებინა წინსვლელობა, და დაეჩრდილა ყოველგვარი წარმოდგენა უკეთესისა.

კონსერვატორობა, რომელიც ასე ფეხმოკიდებული იყო რუსეთში, საუკეთესო გამომხატველი იყო იმ კოლიზიის, რომელიც თანდათანობით შლიდა სახელმწიფო სხეულს. ნელ-ნელა იზრდებოდა წინააღმდეგობა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების და უფლებრივი ძხრის შორის, რომელიც ჯერ ყრუ იყო, ჩუმი, გულჩახვეული, შემდეგ კი—ამაყი, ურჩი, ამბოხების სახით ქუჩაში გამოჭრილი. ეს წინააღმდეგობა მწიფდებოდა საზოგადოების შიგნით, ღუღდებოდა, და ასე განუმზადებდა საფრთხეს იმ ჯადო-რამ მიზეზს, რომელიც კადნიერად ჰკლავდა პროგრესის დასაბამს. ძველი კანონმდებლობა, აქამდე რკინის სალტედ შემოხვეული ცხოვრების მოზარდ სხეულზე, უნდა მომხდარიყო, რომ მეტყველ სიცოცხლეს დაახლოვებოდა განახლებული. მპყრობელობის და ქვეშევრდომობის, მბრძანებლობის და მორჩილების პრინციპებზე აგებული სახელმწიფო დაიშალა, რადგან საზოგადოებრივი შეგნება გაიზარდა, და ფეტიშთა თაყვანისცემას, მონარხიზმის „ღვთაებრივობას“ და უფლებრივ მკვლელობას უნდა დასმოდა წერტილი. პოლიტიკურ სფეროდან უკვე იდევნება მითოლოგია, და მათემატიკური სისწორე ხდება უფლებრივ სისწორის მიზნად. და რომ ეს უფლებრივი სისწორე დაცულ იქმნას შეძლებისამებრ, უნდა სინამდვილეც გავარჩიოთ შესაფერისად და უნიადაგო დოქტრინებს უბრუნოთ ზურგი. და თუ ჩავხედავთ კარგად რუსეთის ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ რუსეთის სახელმწიფო დღემდე იყო უბრალო მექანიური რამ შენობა, რომელიც ავიწროებდა და ჰკლავდა ისეთ ბუნებრივ და ცოცხალ ერთეულებს, როგორიც არიან ერები: საქართველო, პოლონეთი, უკრაინა და სხ... არსებობა ამ რაღაც უსულო ვეშაპ-მანქანის, საზოგადოებით რომ სულთამხუთავად გადაჰქცეოდა, პროგრესისა და სამართლიანობის თვალსაზრისით არის ბოროტება. ბოროტებას კი ჩვენ ვებრძვით. მაშასადამე ჩვენ უნდა შევებრძოლოთ იმ სისტემას, რომელიც ჰქმნიდა და იჭერდა ძველ ციხე სახელმწიფოს.

ძველი მმართველობა და სახელმწიფოებრივი ნაშენობა ცენტრალისტური იყო და უნდა ყოფილიყო კიდეც, რადგან იმპერიალიზმისთვის იგი არის აუცილებელი პირობა. დღეს კი, დემოკრატიის ანტი-იმპერიალისტური მიდრეკილება თავის-თავად, ლოღიკურად, ამ იმპერიალიზმის პირობათა მოსპობასაც მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ამას, თვით სახელმწიფოს შემადგენელი ერები მოითხოვენ და ცენტრალიზმის უარმყოფელი კი დეცენტრალიზაციაა, ე. ი. შემადგენელ ნაწილებად დაყოფა, რომ ყოველ ნაწილს, ანუ ერს, თვით შეეძლოს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ეს არის აუცილებელი პირობა, თუ ეროვნულ-სოციალურ მისწრაფების ჩაკვლას არ მოვისურვებთ. და თუ ჩავკლავთ ერთა სამართლიან წადილს, მაშინ მხოლოდ მოძალადეობის იდეოლოგია შეგვრჩება ხელში, რასაც ჩვენ ვებრძოდით და ვებრძვით კიდეც. ორში ერთი: ან უნდა მოვექცეთ მოჯადოებულ წრეში და ავაშენოთ ის, რაც დავაქციეთ, რომ ისევ დავაქციოთ და ასე დაუსრულებლივ. ან და ერთ ხელ და სამუდამოდ უნდა გამოვაცხადოთ ახალი კანონი, შესახებ უფლებრივი ხელ-შეუხებლობისა. ეს უნდა იყვეს მთავარი კატეგორია, და ვინც ან რაც ამ კატეგორიას მიუდგება, იგი საარსებოდ უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნეს. ეროვნულ იდეას რამდენი ტანჯვა აქვს გამოვლილი; ეროვნულმა პრინციპმა რამდენი ავი რამ განიცადა, რომ იგი ცოტად თუ ბევრად აღსარებული ყოფილიყო, და პოლიტიკოს-მეცნიერებსაც რა უძნელდებოდათ მისი მიღება, რაც ასე მარტივია იდეოლოგიურად, და აუცილებელი უმაღლეს ზნეობის მხრივ. და ეს პროცესი, ერთა სწორ-უფლებიანობის და ღირებულების აღიარებისა ჯერ როდი დასრულებულა. ჯერ ისევ ბრძოლის პირობებშია, და ადრე თუ გვიან იგი დაკანონდება როგორც პირველი მოთხოვნილება საერთაშორისო სამართლისა. მანამ კი ერები, სახელმწიფოებას მოკლებულნი, კვლავ იბრძოლებენ ეს ასეა ყველგან და ასეც იყო. ამ ყველაში რუსეთის ცხოვრებაც იყო მოქცეული, მაგრამ თუ სხვაგან ერთა სწორ-უფლებიანობა ჯერ მიიღეს მხოლოდ როგორც თეორია, და საქმით ჯერ არ განსახიერებულა, სამაგიეროდ რუსეთი სახელმწიფოთა კურსის წინ მოექცა, და დღეს ახალ ცხოვრების გზას ადგა. ერთა უფლებამ რუსეთის შეგნების ტვინიც გაარღვია, და დღეს ეროვნული საკითხი ერთ მთავარ საკითხად არის ქცეულიც. და ეს შეგნება შეგნებად როდი რჩება, იგი არსებობაში გადადის, და იდეას ნივთიერება ეძებნება. ხოლო ამ იდეის დამცველები ასე სწყვეტენ საკითხს: ის, ვინც უარჰყოფს ეროვნებათა თავისუფლების და სწორ უფლებიანობის აზრს, იგი ამით უარჰყოფს თვით თავისუფლების და თანასწორობის პრინციპებს ან, ჰო, ან არა, მესამე შეუძლებელია. რუსეთის ძველი, იმპერიალისტური პოლიტიკა ამის წინააღმდეგი იყო. და რევოლიუციონერი დემოკრატია რომ ძველ ნაკვალევს გაჰყვეს, ეს იქნება შეგინება რევოლიუციისა და ზნეობრივი ავაზაკობა,

ერის ორგანიზაციის ფორმა დღეს სახელმწიფოა. და სახელმწიფო ამასთანავე არის საღსარი, იარაღი იმ შინაგან ფუნქციათა აღსასრულებლად, რომელნიც ერის საარსებო საჭიროებას შეადგენენ. და თუ ერის უფლება აღსარებულია, მაშ ამ ფორმა-იარაღით, როგორიც არის სახელმწიფო, უნდა სარგებლობდეს ყველა ერი, მიუხედავად მათი ზომისა. ამას გვეუბნება უმაღლესი ზნეობა და სამართალი. ამასვე ჰგულისხმობს ის საზოგადოებათა საზოგადოება, ის ერთა კავშირი, რომელსაც ჯერ მხოლოდ თეორიაში ინტერნაციონალი ეწოდება. ინტერნაციონალი ნამდვილ გაგებით, და არა იმ სოციოლოგიურ შეცდომებით და სიყალბით აღსავსე, რომელიც ეკონომიურ მატერიალიზმის აღმსარებელ სოციალისტებმა მიიღეს, ე. ი. ე. წ. სოციალ დემოკრატებმა. ეს უკანასკნელნი ამტკიცებდნენ საჭიროებას ერთა მოსპობისას, თითქოს საამისო მიდრეკილებასაც ჰხედავდნენ ობიექტიურ პირობათა მიმდინარეობაში, მაგრამ მათმა აზრმა კრიტიკას ვერ გაუძლო, და ენათა ამრევი „ინტერნაციონალი“ დაემსხვრათ რამდენჯერმე, როგორც ბიბლიური გოდოლი ბაბილონელებისა. ხოლო აზრი ინტერნაციონალისა არ მომკვდარა, და რომ განხორციელდეს სისწორით და გონივრად, მას შინაარსად უნდა ჩაედოს ის, რასაც ერთა ინტერესების დამცველნი აღიარებენ, და არა ის, რაც ეკონომიურ მატერიალისტების ე. წ. „დიალექტიურ ფილოსოფიის“ უნიადაგობამ წარმოშვა. დიახ, სახელმწიფო ფორმა არის აუცილებელი, ერთა სწორ უფლებიანობის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. და დღეს, როდესაც რუსეთში სახელმწიფო ფორმებზეა საუბარი. არ შეიძლება არ გავარჩიოთ ის ფორმებიც, რომელთა საშუალებითაც გვპირდებიან ახალ ცხოვრების დანერგვას და განმტკიცებას თავისუფლების და თანასწორობის პრინციპებზე.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „ხალ. საქმე“ № 189

# ქართველო ჯარის-კაცნო!

(ქ. გორში მდგომ მე-4 ხე ქართულ პოლკის ჯარის-კაცებს).

„საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო“.

ეს რამდენიმე დღეა, ქართველო ჯარისკაცნო, შეშინებული მცხოვრებნი თქვენზე ლაპარაკობენ... ლაპარაკობენ არა თქვენს სახელოვან საქმეებზე, თქვენს ერთგულებასა და თავგანწირულებაზე რევოლიუციისა და თავისუფლებისათვის, ლაპარაკობენ... სამწუხაროდ... იმ სამარცხვინო საქმეზე, თქვენი წრიდან გამოსულმა ნაძირალებმა რომ ჩაიდინეს.., ეს თქვენ ხომ ჩვენზე უკეთესად იცით. ხომ იცით, რომ სხვისგან ასისიანებულმა თუ თვის შერყვნილ გონების ამყოლმა ნაძირალებმა, თქვენ, სახელოვან მამულიშვილთა შორის რომ მოუკალათნიათ, რამდენჯერ დაარღვიეს ქალაქის მყუდრო ცხოვრება! ბოლოს ხომ მათმა საქციელმა პირდაპირ შავრაზმული ელფერი მიიღო... [illegible]ნ კომისარსა და მილიციონერებს, აჰყარეს და გაიტაცეს იარაღი, ხოლო მეორე დღეს ავაზაკურად დაუწყეს გამვლელ-გამომვლელთ შეურაცხყოფა და ძარცვა... ქართველო ჯარის-კაცნო, არ შეშვენის ეს სახელოვან და მამაც ერის შვილებს და ეს თქვენც, თქვენდა სასახელოდ, თქვენს მოწოდებაში ღირსეულად შეაფასეთ და დამნაშავენი გასთოკეთ. ქართული პრესის მუშაკი, იმ ერის შვილი, რომლის უბეს თქვენც ეკუთვნით და ძუძუ გიწოვიათ და მაშვრალ და გატანჯულ ხალხის სახელით მოგიწოდებთ, უფრო მედგრად შეებრძოლოთ ნაძირალებს და ჭუჭყსა და ლაქას გადაარჩინოთ ის დროშა, რომელიც თქვენთვის ერს და სამშობლოს ჩაუბარებია...

დღეს, როდესაც საერთო თავისუფლების საქმე განსაცდელშია, როდესაც რუსეთის რევოლიუციას ყვავ-ყორანივით მრავლად შემოსევია ხალხის მტერნი და მოძულენი და მის გახრწნასა და სიკვდილსა ჰლამობენ, დღეს, როდესაც ქართველი ერიც აღსდგა საუკუნოებრივ მონობისაგან და თვის შვილების სისხლიან და დაიარავებულ მკერდზე თვის ბედსა სდებს, დღეს, როდესაც ერის საუკეთესო შვილთ თვისი სიცოცხლე დაუზარებლად და წარბ-შეუხრელად მიაქვთ მამულის სამსხვერპლოზე. დღეს, როდესაც უფსკრული გვიმზადდება გვერდში რევოლიუციისა და თავისუფლების დაღუპვით, დღეს უწესოდ ქცევა, რბევა ხალხისა და ისედაც ამღვრეულ ტბორის უფრო ამღვრევა ცოდვა და დანაშაულია მშრომელი ხალხის წინაშე. გადაავლეთ თვალი რუსეთის განთავისუფლებულ პაწია ერებს რა ჰხდება იქ, გადაჰხედეთ რა ხდება მამაც უკრაინაში და დაჩაგრულ-დამონებული უკრაინელნი, ვით ერთი კაცი, ერთ აზრად, ერთ ფიქრად ქცეული, როგორ დასტრიალებენ თავზე სამშობლოს და ავანტიურისტებთან ბრძოლაში არა ჰზოგავენ არც თვით ქონებას და არც სიცოცხლეს, არც ცოლსა და არც შვილს, არც მყუდრო ცხოვრებასა და არც კეთილდღეობას. თქვენი გულდაფლეთილი სამშობლო, ქართველო ჯარის კაცნო, თქვენგან ჯერ ამას არ მოითხოვს, მაგრამ იმას კი გავალებთ. რომ ყურ-აცქვეტილი იდგეთ თქვენს სადარაჯოზე და წმინდად და შეუბღალველად იცავდეთ ერის დროშას...

ქართველებს ყაჩაღებს, ავაზაკებს გვეძახდნენ ჩვენი არამკითხე ბატონ-პატრონნი, ქართველებს ერთგული სამსახურისთვის უფრო გვდევნიდნენ და გვავიწროვებდნენ, ქართველობას თვის პურ-მარილი თვისსავე საწამლავად გარდექცა, საქართველოს მიდამოებში ბევრჯერ ცეცხლი და მახვილი დატრიალდა და ქართველობის კისერი თვის ბატონის მახვილზე ბევრჯერ გადაეკიდა... რევოლიუციამ დაამსხვრია ჩვენი მონობის ხუნდები, მაგრამ განთავისუფლებასთან ერთად განსაცდელიც განგვიმზადა და ქართველი ერის წინაშე კვლავ წამოიჭრა ყოფნა-არყოფნის საკითხი. გახსოვთ? ჯერ ისევ გუშინ როგორ დაგვირბიეს და დაგვიწიოკეს ქუთაისი, ახალ-სენაკი და სხვ. ალვირ-ახსნილმა ჯარის-კაცებმა, გახსოვთ? ერმა როგორ დაიკვნესა და ხმა მისცა მთამაც და ბარმაც, როგორ მოითხოვეს ქართული ჯარის შედგენა და ეროვნულ პოლკებს ყველგან როგორ ფიანდაზად გარდაეშალნენ. არც ის გვეწყებათ, თქვენც როგორი ხალისით და სიხარულით შეგეგებნენ გორის მოქალაქენი და დამშვიდებული რომ მათი სიცოცხლე და ქონება განიავებისაგან ამიერიდან უზრუნველყოფილი იყო, სახლებში დაიშალნენ. დღეს კი... ზოგიერთ ნაძირალთა წყალობით იგივე მოქალაქენი თქვენი ჩამოსვლის დღეს წყევლა-კრულვით იხსენიებენ. ქართველო ჯარის-კაცნო, მაღლა ასწიეთ დროშა პატიოსნებისა და გაუმართლეთ მცხოვრებთ იმედი, რომ თქვენ შეგნებული მოქალაქენი და მამულიშვილნი ხართ. ნუ ათქმევინებთ სხვებს, რომ ქართველები მართლა ყაჩაღები არიანო, ნუ მოსწყვეტთ თვალიდან მგლოვიარე სამშობლოს მეტ ცრემლს, სასოწარკვეთას და უიმედობას მშობელ ერს ნუ აგრძნობინებთ...

რევოლიუცია განსაცდელშია, მამული განსაცდელშია! საქართველოს ცაზე ყოველ დღე, ყოველ წუთობით შავი ღრუბლები იკრიბება და სეტყვად და მეხად განხეთქასა ჰლამობს. აღრეულნი, დაუმზადებელნი, დაურაზმველნი ნუ შეხვდებით იმ ნიაღვარს, რომელიც შეიძლება ამ ღრუბლებს მოჰყვეს, თორემ ჩვენი სამშობლო, დატანჯული და სასომიხდილი, ვით ლამი წაილეკება და ჩვენზე გამართლდება ხალხური ბრძნული ანდაზა „საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო“, წავახდენთ საქმესა და დავღუპავთ მამულს და მერმე ყველაფერს ფათერაკს გადავაბრალებთ..

ნუ იქმნები ასე! ამიერიდან ნუღარ იქმნება თქვენ შორის ადგილი ნაძირალობას და უწესოებას, თქვენს აღმასრულებელ კომიტეტს დაემორჩილეთ მილიციონერებსა და წითელ რაზმელებთან ერთად დაიცავით წესიერება და შეგნებულ და ერთგულ მოქალაქის და მამულიშვილის სახელი დაიმსახურეთ.,.

ხანგანიძე.

# ბაქოელ ქართველ მშობლების საყურადღებოდ

ბაქოს ქართველ მოწაფეთათვის რევოლიუციის მონაპოვარით — სკოლის ნაციონალიზაციით სავსებით სარგებლობა შეუძლებელი შეიქმნა, რადგან ქართველთა რიცხვი თითოეულ სასწავლებელში ცალ-ცალკე მცირეა და ერთ-ერთ სასწავლებელში ყველას შეჯგუფებაც მოუხერხებელი აღმოჩნდა. ბევრი ფიქრისა და თათბირის შემდეგ ადგილობრივმა ქართველმა მასწავლებლებმა წ.-კ. საზ. გამგეობასთან ერთად ქართველ მოწაფეთათვის შეიმუშავა სამშობლო ენის სწავლების წესი და საშუალებანი, რაც სწავლა-აღზრდის სრული ნაციონალიზაციის პრეტენზიებს მოკლებულია, ხოლო არსებულ მდგომარეობაში თვალსაჩინო გაუმჯობესობა შეაქვს: ყველა ქართველი მოწაფე ხუთ ჯგუფად არის გაყოფილი ცოდნისა და ასაკის მიხედვით და კვირაში ოთხჯ 5 საათიდან 6 საათამდე ქართულ სკოლაში ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას სწავლობენ. სამოსწავლო კომისარიატმა და ადგილობრივ სასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოების უმრავლესობამ დასახელებულ საქმის ამგვარად მოწყობა სასურველად და დროულად ჩასთვალეს. ხოლო სავალალოდ და სასირცხოდ ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი საზოგადოება უკუღმართ შეხედულებებიდან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა და ყველასაგან აღიარებული მარტივი ჭეშმარიტებანი ვერ შეუგნია. ქართული ენის გაკვეთილებზე ბაქოს ქართველ მოწაფეთა 40%-იც არ დადის; დანარჩენთა „განათლებული“ მშობლები მუსიკის გაკვეთილებს დედა-ენის შესწავლაზე მეტ მნიშვნელობას აძლევენ და თავიანთ შვილებს ამ გაკვეთილებზე არ ატარებენ. ქართველი ერი, რომელმაც რუსეთის დემოკრატიას სამაგალითო შვილები მისცა და განმათავისუფლებელ მოძრაობას ბელადობა გაუწია, მოწინავე ერად ითვლება რუსეთში და ამ საერთო გამოფხიზლების დროს ზემოდასახელებული მოვლენა სიმახინჯედ უნდა ჩაითვალოს და ყველასაგან სასტიკად დაგმობილი უნდა იქმნეს.

ამ მოკლე დროში ადგილობრივ საშუალო სასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოებს ქართული ენის სწავლების შესახებ ანგარიშები უნდა წარვუდგინო, სადაც აღინიშნება ქართული ენის შესწავლის მსურველთა მცირე პროცენტი, რაც ჩვენი მოუმზადებლობისა და შეუგნებლობის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება.

მოუწოდებ მშობლებს ამ სირცხვილს აგვაცდინონ და, ვიდრე გვიან არ არის, ატარონ შვილები აღნიშნულ გაკვეთილებზე, თორემ მალე, დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, მათი დაუდევრობა შესაფერ დაფასებას ჰპოვებს და შვილებიდანაც საყვედურს დაიმსახურებენ. კარგად უნდა გვახსოვდეს, სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა „კარტულის“ უცოდინარობით ამაყობდნენ ჩვენში და ვიცოდეთ ისიც, რომ ამიერიდან დედა-ენა ყველასათვის ცხოვრების მთავარი სახსარი იქნება.

საქმე მოწყობილია, წ.-კ. საზ. გამგეობა შრომასა და ხარჯს სწევს, მაცადინობა ნაყოფიერად სწარმოებს. საჭიროა მხოლოდ ამით ყველამ ისარგებლოს და მეტი ნაყოფი გამოვალებინოთ.

კურსების გამგე მ. კაკაბაძე.

# მაჰმადიანების თავდასხმა ახალციხეზე

გაზაფხულით, მაზრის უფროსად ნამყოფი გუდიევის აგიტაციამ ახალციხის მაჰმადიანთა შორის ახლა გასჭრა, რომელიც უქადაგებდა: „ნუ ენდობით ქრისტიან ქართველებს, იმათ თქვენი გაქრისტიანება სწადიათ და ნურაფერს დაუჯერებთ; ჩამოშორდით მათ და ამხედრდით მათ წინააღმდეგ; ასამხედრებლად საჭიროა შეიძინოთ თითო ქათამი და ასი კვერცხი (თითო თოფი და ასი პატრონი)“ და სხვ. პროვოკატორის საქმე თავის დროზედ იყო გამოცხადებული გაზეთებში და იგი მალე იქმნა გაძევებული ახალციხიდან მთავრობის მიერ. მაგრამ მან დასტოვა კარგი მოადგილე აწყვერელი ცნობილი ომარ ეფენდი, რომელიც გუდიევის მარჯვენა ბრძანდება. ამ ვაჟბატონმა არც დაიჩინა უგუდიევობა და მისი მოძღვრობის როლი ჩინებულად შეასრულა. მას შემდეგ ნახევარ წელიწადის განმავლობაში მოიარა ახალციხის მაზრის ყველა სოფლები, შემოვლა და კარგად ჩაუწერა გულში ქრისტიანების მტრობა და იწვევდა მათ წინააღმდეგ შეიარაღებით შებრძოლებას და აი ავერ დადგა ის წამიც რომ თავისი მოძღვრება საქმითაც განახორციელა. შემოჰკრიბა 15000 სული იარაღითა და ბარ-ნიჩბით შეჭურვილი და 27 დეკემბერს დილის 8 საათზე გამოუცხადა ქალაქის და ჯარას კაცთა დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტს ციხე ქალაქი ჩაებარებიათ, რომელსაც იგინი კარგად მოუვლიდენ. მეომარი ხალხი მათ შემოკრებილი ჰყავდათ საომრად გამზადებული ქალაქის ნაპირას, სამი ვერსის მოშორებით ბორჯომის გზა-ტკეცილზედ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელი ქალაქის მცხოვრებნი აამოძრავა და შიშმა მოიცვა. იყო გამოგზავნილი მაჰმადიანი დელეგატები კომიტეტებისადმი პასუხის მისაღებად. იყო განმეორება დელეგატთა მიმოსვლისა, ეს დღე ასეთ შიშში დაალამეს შეშინებულმა მცხოვრებლებმა, თუმცა ბევრს არცა სჯეროდა, რო მაჰმადიანები გაბედავდნენ და დაეცემოდნენ ქალაქს, მაგრამ მაინც ყველა დიდ სიფრთხილეში იყო, თავიანთ ქონებას მალავდენ და თავის დასაცავად ემზადებოდნენ. ქალაქის მცხოვრებნი მოითხოვდენ იარაღს არსენალიდან. მართველობამ დაურიგა ვინტოვკები ჯარის-კაცად ნამყოფთ და შეაიარაღა ჯარი, ციხე-სიმაგრეებშიაც მიაწყო ტყვიის მტყორცნელებიც. ღამე ჯარი საბრძოლველად მზად იყო, თუ რომ დაეცემოდნენ მაჰმადიანები, მცხოვრებიც სულ ფეხზე იდგნენ, თითქმის შიშით არავის დაეძინა. ღამე მშვიდობიანად გაიარა, თუმცა აქა იქ კანტი-კუნტად თოფის სროლა ისმოდა ქალაქში. მეორე დღეს 26-ს მოძრაობა ხალხისა და შიში უფრო გაორკეცდა, აგერ გარშემორტყმია „თათარი ქალაქსო, იძახოდნენ ყველანი. მშვიდობიანი ხალხი კიდევ მიუხტა არსენალში და იარაღს ითხოვდენ დაჟინებით, თორემ გავტეხთ და იძულებით გავზიდავთო, მაგრამ ამ დღესაც კიდევ უიარაღოთ დარჩენილ ჯარის კაცებს მიაწოდეს ვინტოვკები და დანარჩენი კი ისტუმრებდნენ შემდეგი სიტყვებით: როცა მტერი შემოვა ქალაქში, მაშინ დაგირიგებთო, საათის მეთორმეტე იყო, რომ ერთი მხარით ქალაქზე გადმოსახედ ათა-გორიდან გავარდა თოფი, საიდაც ათასობით ჩნდა მაჰმადიანთა რაზმები, მცხოვრებლებმა ტყვიის მტყორცნელებით უპასუხეს და დაიწყო ვინტოვკების სროლა. ასტყდა ზარების რეკაც და ხალხში ერთი უბედურება დატრიალდა და შიშისა. მალე მახლობელ სომხეთა სოფლებიდან დაიწყო გამოქცეულ ქალბავშთა დენა ქალაქში, რომელთაც ფეხშიშვლებს ვერც კი მოესწროთ სწორედ ჩაცმა დახურვა და ნახევრად ტიტველნი გამოქცეულიყვნენ. ათასნაირი ხმები ხომ ერთობ გულს უხეთქავდა თვალცრემლიან შეშინებულ ხალხსა. იძახოდნენ: ს. აწყური ერთიან გაანადგურესო, წირიდან ქალები გაიტაცეს და ერთიან დაარბიეს და მევრიც ამოხოცესო და სხ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მართალი არ იყო. ამ ხმების გავრცელებას ის სარჩული ჰქონდა, რომ იარაღი გაეტანად მოქალაქეთ არსენალიდან და შეიარაღებულიყვნენ. სროლასთან ერთათ მტრის დელეგატები კიდევ მიდი-მოდიოდნენ აღმასრულებელ კომიტეტებში, რომელთაც თავიანთი მოთხოვნილებანი შეამცირებიათ და მის დაკმაყოფილებას ელოდენ უკანასკნელი მოთხოვნილება მაჰმადიანებისა ყოფილა თურმე რომ არსენალიდან იარაღით სარგებლობის უფლება მათაც ჰქონოდათ თავის დასაცავად, როგორც ამ უფლებით ქრისტიანები სარგებლობენ. კომიტეტს თურმე დაუკმაყოფილებია მაჰმადიანების დელეგატები ამ გვარად! „რაც გადარჩება ჯარის-კაცად ნამყოფებს იარაღი, მაშინ დანარჩენი ყველა მშვიდობიან ხალხს დაურიგდებათ ეროვნებასა და სარწმუნოების მიუხედავად; შეიძლება კიდევ სხვა მოთხოვნილებანიც იყო, მაგრამ მე, მხოლოდ ეს ცნობა გავიგე, ამ გადაწყვეტილების შემდეგ ერთი საათისა სროლა შეწყდა. დაიძახეს შერიგდენო. სროლის დროს ორი ჯარის-კაცი დაიჭრა მსუბუქად. არავინ მოკვდარა.

შერიგების ხმამ ცოტა დააწყნარა შეშინებული მცხოვრებნი. იმღამეს მშვიდობიანად მოისვენეს. მესამე დილას 29 დეკემბერს, დილითვე ხელახლავ გაისმა, რომ მაჰმადიანები კიდევ მოადგნენ ქალაქსაო, მხოლოდ ცოტა მოშორებითაო და განახლდა შიში და მოძრაობა, იყო ცოტა სროლა ქალაქის გარედ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა...

29-ს საღამოს ტფილისიდან მოვიდნენ ამ საქმეზედ ნ. ქარცივაძე და სხვები.

ძველი რევოლიუციონერი.


გამომცემელი
სამხრეთ [illegible]
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

## საბუღალტრო კურსები

გ. კ. ტერ-დავიდოვისა

ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრამიანისა

## საბუღალტერო კურსები

(არსებობს 1895 წლიდან).

ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მეცადინეობით.

15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1918 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი მიეცემა ყველას ნიკოლოევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 2259

## ფოსტის კონვერტები 33 ათასი

იყიდება შემთხვევით. სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 14, ეზოში მარჯვნით.

ექიმი

## გ. გ. ნარიმანოვი

[illegible] „606“ და „914“ [illegible] ყოველ დღე საღ. $5^1/_2$ ს. დან 8 ს.-დე. [illegible] ქ. № 38. ტელ. № 18—17. 487

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს სადიაგნოსტიკო ავადმყოფებს დილის 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 6—71. 1058

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09.

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საზებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი [illegible] ქ. № 7.

ექიმი

## შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ [illegible] საღამოს 6—7 საათამდე, [illegible] № 117.

ექიმი

## დ. შარაშანიძე

იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაულოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი კბილისა

[illegible]

ექიმი

## პავლე არდაზიანი

დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 3 ქუჩანი. 3040

ექიმი

## ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი

## ლ. დ. ფავლენიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთბა მეზრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 28/31. 151

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

## გ. გ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა.

შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი ✕ ფილტვებისა, ახალი რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა ✕ სხივებით, თავის ტვინი ვენის ტიპისა, დიდი ხილოთნიოდი, განხიკურიებული ნაკადები [illegible] ნერვულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 1—93. 683

## ს. ზ. მირზოევი

[illegible] საავადმყოფოს [illegible] იღებს $1^1/_2$—$2^1/_2$ ს., [illegible] გიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმი

## თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—82.

დოქტორი მედიცინისა მოსკ ანთიმოსის ძე

## ქალანდარიშვილი

[illegible] ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებებით ავადმყოფებს იღებს [illegible] საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმი

## მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა,

იღებს ავადმყოფებს

## ახალ ბინაზე

გულისა, ფილტვისა და ხორხის სნეულებებით სპეციალურად.

საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელიზბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მონ-მონდის“ პირდაპირ. 1056

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო

## სამკურნალო

(დაარსებული 1880 წელს)

[illegible]

[illegible] „606“ და „914“

ვენერიული—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

[illegible]—11—13 ს. [illegible]

[illegible]: $9^1/_2$ [illegible]

[illegible]: 10—12 ს. [illegible]

[illegible]

[illegible] 1 მან. [illegible]

[illegible]

## ტფილისის ებრაელთა პირველ გიმნაზიასთან

რომელიც დაარსებულია ქ. ი. შუსტერის მიერ დიდი ვანქის ქ. 12, 15 ამა იანვრიდან იხსნება

## საბუღალტრო კურსები

ორთავე სქესის პირთათვის. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელ რიაში 9—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფონი 3—68.

24 გამგე ბ. კ. კრამარენკო.

## სარეკლამო ბიურო „რ ი ა შ“

(ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. 16).

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

მიიღეთ რა მხედველობაში მრეწველობის განვითარება ამიერ-კავკასიაში, დავაარსეთ და 1918 წლის 15 იანვრიდან გაიხსნება ტფილისში, კავკასიაში პირველი სარეკლამო ბიურო „რ ი ა შ“

რუსეთ-ამერიკის ფირმის, რომელიც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის სარეკლამო კანტორების მსგავსად აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციას განცხადებების და ყოველგვარ გაზეთებსა და ჟურნალებზე (ადგილობრივ და უცხო) ხელის მოწერის მიღებისას, სხვა და სხვა რეკლამების მოწყობას და სხვ.

განცხადების შედგენას ბიურო უსასყიდლოდ კისრულობს. განცხადებების ფასი რედაქციებზე ძვირი არ იქნება. ბიურო იღებს აგრეთვე სხვა და სხვა გამოცემათა წარმომადგენლობას, ბიუროს ესაჭიროება აგენტები განცხადებების და ხელის მოწერის მისაღებად, ტფილისში და გარე ქვეყნებში. შეუძლიათ იმ პირებსაც რომელნიც სამსახურში იმყოფებიან ქალებსაც შეუძლიათ შემოსვლა სამსახურში. ბიურო დროებით იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე საბელმწიფო ბანკის პირდაპირ. „ქიმიურ-ფარმაცევტურ ლაბორატორიის გვერდით. 1010

## „სახალხო საქმე“-ს რედაქციის კანტორაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ ორივე ტომი | 6 მ. |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I | 4 „ |
| გრიშელი წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. | — 60 |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. | 1 „ 20 |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“ | — 40 |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ | — 50 |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.